წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76. სამშაბათი ივნისის 27 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
[illegible] გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება [illegible]
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 64 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 64

მეხ დაცემული მეუღლე მარიამ (გაბო) კონსტანტინეს ასული დები მარიამ ივანეს ასული თავხარაშვილისა, ნინო ივანეს ასული ჭაჭიაშვილისა, ძმა ალექსანდრე ივანეს ძე მხეიძე შვილებით, სიმავრი კონსტანტინე დავითის ძე ლორთქიფანიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას.

სეფე ივანეს მის მხეიძისას.

რომლის დაკრძალვა მოხდება 30 ივნის დღით პარასკევს ნაშუადღევის 4 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, თბილისის ქუჩა ერისთვის სახლ. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ივნისის 26, 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი გამოჩენილ მსახიობების მონაწილეობით: ვ. ა. კარალის, ვ. ა. პოლონსკის, ა. დ. რინდინის და ნ. პერესტიანის.

შურის მიება

მხატვრული დრამა 5 ნაწ.

მილიონერი ერთი საათით

სახუმარო, 2 ნაწ. მონაწ. გამოჩენილ იტალიის მსახიობისა რუდოლფის.

ხელის მომწერთა — — საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჯიბოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



სამშაბათს 27 ივნის გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა რომელიც შესდგება ცირკის საუკეთესო №№ პროგრამისაგან.

38 დღეა ქალთა ფრანგული ჭიდაობისა. დღეს იჭიდავებს 3 წყვილი 1. ზანგი—დჟეო-მორა და სალინიაკი. დჟეო-მორა იხდის 500 მანეთს და ჯვარს, თუ სალინიაკი წააქცევს 10 წამში. 2. აზელკროკი და იანკოვსკაია. 3. ანატემა და ივერი. დასაწყისი წარმოდგენისა 8 ნახევარ საათზე საღამოს. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

ანონსი: მზადდება ბენეფისი ქალთა ჩემპიონატისა: მედნიკოვის და ნორეიკის. აგრეთვე მზადდება ბენეფისი კლოუნებისა ფლორენსის და კრისტის

დ ღ ე ს:

წერილები:

ინ-ხანი — ქალაქის არჩევნებისათვის.

დის. —ჩატეხილი ხიდი.

გ. გვაზავა — შეთანხმების კარი.

ვ. წერეთელი—მოხსენება ერ.-დემ. პარტიის დელეგატების ყრილობის შესახებ.

ცნობები:

რევოლუციის ამბები. რუსეთი. უცხოეთი. მსოფლიო ომი. საქ. ეროვნ. დემ. პარტიის წევრთა კრება ქუთაისში. სოც. დემ. საოლქო ყრილ. მიღებული დადგენილებანი. მოწერილი ამბები. ახალი ამბავი.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივნისის 26, 1917 წ. ნაჩვენები იქნება დრამა 5 ნაწ. სცენარიუს ანატოლია კაშენსკოის მეოხებით.

ფიალა აკრძალული სიყვარულისა

უმთავრეს როლებში მონაწ. ვ. ვ. მაქსიმოვი, მ. კასაროვა და ი. ნ. ხუდოლეევი
ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიაში ჩაწერა

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ). დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე

გაზ. **„ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში**

(თფილისის ქ. სახ. მაქალაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

ოთხშაბათს 28 ივნისს, საღამოს 7 საათზე. შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდება დრამატიული საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო

კ რ ე ბ ა

განსახილველია:

1) განხილვა და დამტკიცება წარსული სამოქმედო წლის ანგარიშისა;
2) მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;
3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

მოწოდება.

ომისა და პირველ საჭიროების სანოვაგის გადატან-გადმოტანის საჭიროების გამო რკინის გზათა უმთავრესმა სამმართველომ მოახდინა განკარგულება მატარებელთა რიცხვის შემცირების შესახებ, ეს შემცირება შეეხება უმთავრესად ისეთ საქონლის გადატან-გადმოტანას რომელიც არ წარმოადგენს მცხოვრებთათვის აუცილებლივ საჭიროებას ასეთ საქონელს ეკუთვნის სხვათა შორის ხილეულობა, რომლის გადატანა ქუთაისის გუბერნიიდან ამის შემდეგ ძალზედ შემცირდება.

ამისათვის ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი

მიმართავს ხილის მეურნეთ და ვაჭართ, რომ მათ თავიდან აიცილონ მოსალოდნელი ზარალი, ეხლავე მიიღონ ზომები ხილების გასახმობათ და შესანახათ, გამხმარ ხილებს კი პატრონებიდგან შეიძენს თვით საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი, რომელსაც ასეთი ხილების მიყიდვის შესახებ უკვე აქვს გამართული მოლაპარაკება კავკასიის ჯარისთვის სურსათის მიმწოდებელ რწმუნებულთან

იბეჭდება და მალე გამოვა

ნარკვევი

ტიტე მარგველაშვილისა

საშუალებანი ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის.

გამოცდილი — — მასწავლებელი

(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.

ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.

თ—1

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

ქალაქის არჩევნებისათვის.

ახლო მომავალში ქ. ქუთაისში ხმოსნების არჩევნები მოხდება. ამ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა ექნება არა თუ მარტო ქუთაისის საქმეების მოწესრიგებაში, არამედ როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს მოწყობაში, ისე სრულიად საქართველოსათვისაც. მთელს საქართველოში ჯერჯერობით ორი კულტურული ცენტრია: თბილისი და ქუთაისი. ამ ორმა ქალაქმა უნდა მისცეს ტონი მთელს საქართველოს და გაუთანასწოროს ის ევროპიულ ქვეყნებს.

ამიტომ დიდი თავდაჭერა და ბევრი სიდინჯე, დაკვირვება, ყველაფრის გათვალისწინება გვმართებს, როდესაც ამა თუ იმ კანდიდატს ვაძლევთ ჩვენს ხმას.

უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ამიერიდგან აღარ მოიპოვება ქუთაისშიც ისეთი მოქალაქე, რომელსაც ნება არ ქონდეს მონაწილეობის მიღებისა საქალაქო არჩევნებში, თუ კი მას 20 წელი შესრულებია. წინეთ, ძველი რეჟიმის მეოხებით, არჩევნებში სრულიად წარმოუდგენელი იყო უცენზო მოქალაქე. ცენზი იყო არა მარტო ქონებრივი, არამედ სარწმუნოებრივიც კი. მაგალითად ქუთაისის ქართველ ისრაელობას უფლება არ ჰქონდა თვისი ხმა ამოეღო ქალაქის არჩევნებში და როგორც გერი, ისე უნდა მივარდნილიყო კუთხეში. არა თუ მარტო ისრაელი ქართველობა, ქრისტიანებიც კი უღვთოდ იყვნენ მიგდებულნი, განსაკუთრებით შეუძლებელი ნაწილი მოქალაქეებისა და მთელი ქალაქის მცხოვრებთა ნახევარი— ქალები. დღეს კი ასე აღარ არის.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ საბოლოოდ დაამსხვრია უთანასწორობის ბორკილები და ყოველ მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და წოდებისა, სწორუფლებიანობა მიანიჭა ქალაქის სვებედის გადაწყვეტაში. უფლება კი უსათუოდ ვალდებულებას გულისხმობს.

პირველი და უმთავრესი ვალდებულება ყოველი მოქალაქისა ის არის, რომ მან არ დაჰკარგოს საარჩევნო ხმა. 20 წლის ზევით ყველას ეძლევა უფლება, ჯერ თუ არ შეტანილა ამომრჩეველთა სიაში, მივიდეს სადაც ჯერ არს და თვისი უფლება გამოიყენოს.

მეორე და დიდმნიშვნელოვანი საქმე კიდევ ის არის, რომ მოქალაქეებმა ღირსეულ პირთ ჩაუგდონ ქალაქი ხელში. კანდიდატების ღირსება მათის ცოდნითა და გამოცდილებით უნდა იზომებოდეს. თუ ასეთები არ იქნენ არჩეულნი, მაშინ ქალაქი დაიტანჯება. კანდიდატები მხნე, გამრჯე, თვისი ვალდებულებისა და პასუხის გების ღრმად შემგნე პირები უნდა იყვნენ. მათ უნდა უყვარდეთ ქალაქის საქმე და მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

დღევანდელი ვითარების მიხედვით მათვე დაეკისრებათ დამფუძნებელ კრებისათვის საარჩევნო სიის შედგენა და არჩევნების წესიერად წარმოების მეთვალყურეობა. ასეთი ვალდებულება მოითხოვს დიდი ენერგიის მუშაკთ და უმწიკვლო პატიოსნების მქონე პირებს. ყოველივე ეს ნათლად უნდა წარმოიდგინოს მოქალაქემ თვალწინ და ისეთ პირთ დააკისრონ ამ საერთო საქმის გაკეთება, რომელთაც შეეძლებათ იმედების გამართლება.. ქუთაისი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავაყენოთ ისეთ კულტურულ დონეზე, რომ ველარავინა სთქვას: ქალაქი ვნახე უძალლო და შიგ გავიარე უჯოხოთო.

ემზადეთ მოქალაქენო არჩევნებისათვის და მოიხადეთ პირნათლად თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე.

ინ-ხანი

„ჩატეხილი ხიდი“.

„ოთარაანთ ქვრივში დიდმა ილიამ საქართველოს ტრაღიკული სინამდვილე გადაგვიშალა. ზე ნიჭით მოსილმა ადამიანმა გვითხრა: „ქართველ ხალხს შორის ხიდია ჩატეხილი და მის გაუმრთელებლად საქართველო ვერ აღსდგებაო“.

მე 15 საუკუნეში მეფე ალექსანდრეს დროს საბედისწეროთ გაიყარენ ქართლის შვილები. ერთ მეფობის მაგივრათ რამდენიმე ურთიერთ შორის მოქიშპე სამეფო. გაჩნდა, რის გამოც ძირი გამოუთხარა საქართველოს სიძლიერეს

იმ განწირვის დღის მერე 4 საუკუნეზე მეტმა განვლო, საქართველოს ცამ ბევრი მრისხანება გაიარა, მაგრამ ქართველი ერის **წინანდელი ერთობა** ვერ იქმნა აღდგენილი. მე-19 საუკუნეში რუსეთის კალთებს შევაფარეთ თავი. რუსეთის მთავ-

რომბამ საქართველოს ნაწილები გეოგრაფიულად გააერთიანა—რაც შეეხება საქართველოს სულიერ ერთობას და ერთ ძალით მოქმედებას, მას ვერ ვეღირსეთ.

ბუნებრივ განვითარების და შეგნების გზას ამცდარით საკუთარ სახლში თავბრუ დაგვესხა. ქართველ ცხოვრების მომავლისთვის და ხალხის ტკივილების მალამოს მისაღებათ უცხო ქვეყნებს შევყურებდით.

მე-19 საუკუნეში შესაძლო იყო ქართველი ხალხის ნამდვილი გაერთიანება და ერთი ეროვნულ გრძნობით აღგზნება, მაგრამ ამ იდეას, მაშინ წინ გადაელობა თვით მპყრობლურ მთავრობის გამარუსებელი პოლიტიკა და ჩვენი ინტელიგენციის მიერ ქართულ მისწრაფებათა ნაცვლად უცხო იდეალების გავრცელება.

საქართველოსთვის წამებული დიმიტრი ყიფიანი გახარებული იყო, რომ ნაკუწნაკუწად ქცეული საქართველოს ნაწილები რუსეთმა ერთმანეთს მიუმატა, მაგრამ მეტად სწუხდა იმ გარემოებით, რომ თვითონ ხალხში არ აღიძრა ერთსულობს იდეა. დიმიტრი იმერეთის და ამერეთის თავად-აზნაურობის ერთმანეთთან დაახლოვება—დაკავშირებას ლამობდა, რომ ამით ,,ბრწყინვალე წოდება ერთ გზაზე დაეყენებია. მაგრამ ჩვენდა ღრმა სამწუხაროთ დღემდის ვერ მოხერხდა სრულიად საქართველოს ხალხის ძალთა გაერთიანება.

მე-15 საუკუნის შემდგომ ჩვენი მთლიანი ხმა არავის სმენია. რა მოხდა? რამ შეგვაძულა ერთმანეთი. სიძულვილი ქართველის ბუნების თვისება არ არის. ქართველს უცხო შორეულიც ისე უყვარს, როგორც თავის ოჯახის შვილი.

ყველა უბედურების მომვლინებელად ეროვნული აზროვნების, შეგნების, და მისწრაფების შელახვა და სისუსტე მიგვაჩნია.

იმ დროს, როდესაც ის ერები, რომელთაც ისტორიულათ არავითარი უფლება არ აქვთ, ელვის სისწრაფით გამოდიან ეროვნულ მოქმედების ასპარეზზე და საკუთარ საფუძველზე დამყარებულ ცხოვრებას იწყებენ, ჩვენ უკიდურეს მოდუნებას და მონობას ვამჟღავნებთ.

საერთო თავისუფლების დროს ჩვენს ავტონომიაზე საჯაროთ ხმის ამოღებას ვერ ვბედავთ.

რუსეთის ერებს რევოლუცია მოევლინა იმ მადლათ, რომელმაც ისინი ტყვეობისგან უნდა დაიხსნას და თავისუფალ ეროვნულ ცხოვრების სარბიელზე დააყენოს.

ეს ასეც ხდება.

არაფერს ვიტყვით ფინეთზე, რომელმაც სრული დამოუკიდებლობა, საკუთარი ხელმწიფობა მოითხოვა. უკრაინამ ცენტრალ რადის მიერ გამოქვეყნებულ ,,უნივერსალით'' მალოროსიის ავტონომია გამოაცხადა და დროებით მმართველობას ანგარიშის გაწევა მოსთხოვა.

ქართველ ხალხს თავის ეროვნულ კეთილდღეობისთვის ჯერ არაფერი გაუკეთებია.

საქართველოს ხმა ჯერ არ გაუგია რევოლუციურ რუსეთს.

ჩვენი თავი ჯერ კიდევ არ გვიცნია. ქართველი ხალხი თავისი მდგომარეობით, თავისი შეგნებით ჯერ გაერთიანებული არ არის. საერთო მოქმედების პლატფორმას ვერ ვხედავთ. დღევანდელი მომენტი გადამწყვეტი ხასიათის არის. საერთო არევ-დარევაში იჭედება მცირე ერების ბედი. ერი რომელიც სათანადო მომზადებით საბუთით წარსდგა რევოლუციურ ორგანოების წინაშე, გაწბილებული არ გამობრუნებულა.

რევოლუცია საყოველთაო თავისუფლებას და განახლებას ამტკიცებს.

ნუ თუ ქართველ ერს არ უნდა ეს თავისუფლება?

მიდის დრო და ჩვენ არც ერთ მომენტის მიერ დასმულ კითხვებში არ მოვმზადებულვართ, საერთო კრებაც კი არ გაგვიმართავს, სადაც ინტერპარტიულ საქართველოს სადღეისო დადგენილება უნდა გამოეტანა. ის, რაც ხდება დიდ რუსეთში, საქართველოში შეუმჩნეველია. ყველა საკუთარ ცხოვრებას ქმნის, სუყველა საქმიანობას მიეცა.

ამ რევოლუციის დროს ჩვენში რა გაკეთდა თვალსაჩინო და ეროვნული? არაფერი. არც ერთი ქართული ორგანო ჩვენ არ დაგვიარსებია. არც ერთი ქართული საქმე არ დაწყებულა.

შინ და გარედ ჩვენი თავის უარისმყოფელად გამოვედით.

დღეს თუ ხვალ აფორიაქებული ცხოვრება კალაპოტში ჩადგება. რუსეთი დამფუძნებელ კრებას იწვევს.

შემოდგომაზე შესდგება სრულიად რუსეთის ხალხთა წარმომადგენლების ყრილობა.

ამ ყრილობაზე საბოლოოდ გადასწყდება ყველა ერის ბედი. ის ერი, რომელიც თავის სამართლიან მოთხოვნილებას მთლიანად წარადგენს კრებაზე, ეროვნულ მისწრაფებასაც გაინაღდებს. ქართველები კი ამას სრულიად გულცივათ შევყურებთ.

ჩვენს სამშობლოზე მზრუნველობას გადავეჩვიეთ. სხვა, რომ სიკვდილს გვიმზადებს, მაშინ ჩვენ გულუბრყვილოთ ვიღიმებით. სანამდის უნდა იყოს ასე?

არ უნდა დაინგრეს ეს სიდუხჭირე? თუ დღეს არა, როდის, გვინდა, რომ გამოვიდეთ განახლებისა და ეროვნულ ამაღლების ასპარეზზე?

განვლილ და მიმდინარე ცხოვრების გაკვეთილი იყო: ,,ყველამ თავისთავს თავის ჭკუით უნდა მოუაროსო''.

სადა ვართ, რატომ არ ვირაზმებით საკუთარ ტკივილების განსაკურნებლად და დანგრეულ ცხოვრების ახალ საფუძვლებზე აღსადგენათ.

„ჩატეხილი ხიდი" ისევ განწირვას გვიქადის. იგი თუ არ გავამთელეთ, ვერც ერთ ჩვენს კეთილშობილურ სურვილს სისრულეში ვერ მოვიყვანთ.

მომენტი მოითხოვს ჩვენს შეერთებას, და მომატებულის ძალით ერის ახალ ცხოვრების დაწყებას. ნუღარ ვაყოვნებთ ყველამ ვიწამოთ, რომ საქართველოს ხსნა საერთო ენერგიულ თანამშრომლობაშია.

ქართველო ერო!

თუ გსურს დაკნინებას განშორდე და უკეთესი მომავალი გამოიკვლიო, შეკავშირდი საქართველოს მთლიანობის იდეის გარშემო.

შევსძლოთ ,,ტრაღიკულ სინამდვილის'' გაფანტვა და გავამრთელოთ ,,ჩატეხილი ხიდი''.

საქართველოს აღდგომის და ბედნიერების მზე მაშინ გამოანათებს.

დის.

შეთანხმების კარი.

დიდად საყურადღებო რეზოლიუცია გამოიტანა ეხლახან მომხდარ სოციალ-დემოკრატების საოლქო ყრილობამ ეროვნულ საკითხის შესახებ. დავუკვირდეთ იმას, გავიგოთ მისი დედა აზრი მისი იდეური ნიადაგი და შეიძლება იგი აღმოჩნდეს არც ისე დაშორებული ჩვენგან, როგორც აქამდე გვეგონა.

ტერიტორია.

ტერიტორიის შესახებ რეზოლიუცია ამბობს: „ტერიტორიულ თვითმართველობის საზღვრები მყარდება ამა თუ იმ ეროვნების რეალ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით. აქ უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში ყოფა-ცხოვრება და სამეურნეო მდგომარეობა''.

როგორც ვიცით, სოციალ-ფედერალისტებსაც აქვთ პრინციპი რეალ მოსახლეობისა, მარა სოციალ-დემოკრატებსა და იმათ შორის დიდი მანძილია. ფედერალისტებს ამ რეალ მოსახლეობის პრინციპში თითქმის არ შეაქვსთ შესწორება, დამატებულია მხოლოდ სამი სიტყვა—,,ტერიტორიის მთლიანობის დაცვითო''. მარა საქართველოს მთელი მაზრაც რომ ჩამოაცალოთ, მისი ტერიტორიული მთლიანობა მაინც დაცული იქნება. ფედერალისტებიც აგრე იქცევიან: ჩამოაცალეს საქართველოს ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრა და ბევრი სხვა პროვინციებიც. ეგ არის მათი ,,ტერიტორიის მთლიანობა''. ამისთანა მთლიანობისაგან ღმერთმა დაგვიფაროს.

სულ სხვა შესწორება შეაქვსთ სოციალ-დემოკრატებს რეალ მოსახლეობის პრინციპში. მათ დადგენილებაში რეალი მოსახლეობა არ არის მხოლოდ გაშლეპილი ეთნოგრაფიული პრინციპი, არა, იმაში მოტანილია კიდევ ხალხის ყოფა-ცხოვრება და სამეურნეო მდგომარეობა; ეს მომენტი კი შეეხება ეროვნულ ფსიხიკას და სახელმწიფოებრივ ეკონომიკას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სოციალ-დემოკრატები ჩვეულებისამებრ ამიერ მედგრად დაიცავენ ამ მათ მიერ აღიარებულ პრინციპს. მაშინ ჩვენთვის უზრუნველყოფილი იქნება ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრა და საქართველოს განაპირა ქვეყნები, როგორიც არის ზაქათალის, არტაანის და ოლთის ოლქი, გაგრის უბანი, ქვემო ყარაიაზის ველები. ან ბამბაკი და აბოცი.

შეადარეთ ეს ჩემი დასკვნა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამას და დაინახავთ, რომ აქ შეთანხმების კარი თითქმის სრულებით ღიაა.

საავტონომიო უფლებანი

სიტყვა ,,ავტონომია'' სოც.-დემოკრატებს არ უხმარიათ; ამის მაგიერად ყველგან ხმარობენ ,,თვითმართველობას''. განსხვავება ამ ორ ტერმინის შორის დიდია. მდაბიოდ რომ ავხსნათ, თვითმართველობა ნიშნავს: კანონები პეტროგრადში დაიწეროს, საქართველოში კი ამ კანონებს ჩვენ ავასრულებთო, ე. ი. ჩვენთვის საჭირო არ არისო არც კაპიტან-ისპრავნიკების გამოგზავნა, არც გუბერნატორებისო,—კანონები თქვენ დაგვიწერეთ, ჩვენ კი ავასრულებთო.

ავტონომია კი ჰნიშნავს არა მარტო კანონის ასრულებას, არამედ მის შედგენასაც, მის დაწერას. ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოს ერი შეგნებასა და განათლებაში არ ჩამოუვარდება რუსეთის ხალხს, იმას შეუძლიან თვით დასწეროს და შეადგინოს თავის კანონები. წერეთელი ჩხეიძე, გეგეჭკორი, ბ. ნოე ჟორდანია განა საქართველოს შვილები არ არიან? თუ იმათ შეუძლიანთ მთელი რუსეთის მართვა გამგეობის წარმოება, ნუთუ მხოლოდ საქართველოში და საქართველოსთვის დაეკარგებათ ეს ნიჭი და უნარი? თუ ეს აგრეა, რა ჭკუაა უსათუოდ რუსეთს მივანდოთ ჩვენი კანონების დაწერა და შედგენა? ამიტომ ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატები, მოვითხოვთ, რომ საქართველოს მიენიჭოს ავტონომია, როგორც უფლება კანონმდებლობისა, და არა მხოლოდ თვითმართველობა, როგორც უფლება სხვაგან დაწერილ კანონების ასრულებისა.

მარა შეიძლება, თუ სრულიად არა უმეტეს ნაწილად, აქ გაუგებრობა იყოს. მართლადაც იურდიული ტერმინები ისე არეულად და უადგილოდ არის ნახმარი, რომ შეიძლება აქ უფრო კალმის გამოუცდელობა იყოს, ვიდრე პრინციპიალი წინააღმდეგობა. აი მაგალითებიც: „თვითმართველობა—ნათქვამია რეზოლიუციაში სახელმწიფოს მიერ გადაცემულ კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობს და მოქმედობს სრულიად დამოუკიდებლად". სწორედ ჩვენც ამ დამოუკიდებელ კანონმდებლობას მოვითხოვთ.

შემდეგ ჩამოთვლილია სხვა და სხვა კანონმდებლობის საგნები, რომელთა შორის საგანგებო ყურადღებას იქცევს მე-7 და მე 8 მუხლი: ადგილობრივი სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის განვითარება, ადგილობრივი მიწათა და აგრარული კანონმდებლობა. ეს კი ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სამოქალაქო და სოციალურ კანონმდებლობისა. —მართალია, აქვე გამობმულია ერთი ფრაზაც: „როგორც შემდეგი განვითარება ძირითად რესპუბლიკურ უფლებისა ამ სფეროშიო", მარა ეს ისეთი უაზრობაა, რომ არ ჰღირს ამაზე შეჩერება. „ძირითად რესპუბლიკური უფლება" ისეთივე ბოჩოლაა, როგორც ძირითადი მონარქიული უფლება. ამისთანა უფლება არ არსებობს.

მარა კალმის გამოუცდელობა ერთია, დადგენილების შინაარსი კი სულ სხვა. სოციალ-დემოკრატებმა აღიარეს, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა ჩვენი ცხოვრების მოსაწესრიგებლად აუცილებლად საჭიროა. ამ კანონმდებლობას ექვემდებარება მთელი ადმინისტრაცია, მთელი სამართალი, მთელი საერო განათლება, სხვა და სხვა გადასახადის შემოღება და ერთი ნაწილი მაინც სამოქალაქო და სოციალურ კანონმდებლობისა.

აქ კარი არ არის სრულებით გაღებული, მარა ნახევრად მაინც ღიაა, რომ მოხდეს საქართველოში მომქმედ პარტიათა შეთანხმება.

მომენტიც ამას ითხოვს.

გიორგი გვაზავა.

რევოლუციის ამბები.

ვადის გაგრძელება სამხედრო სამსახურში ჩასარიცხველ პოლიტიკურ დამნაშავეებს.

პეტროგრადი. ივნისის 21. ბრძანება ფლოტისა და ჯარისადმი. 1917 წ. თიბათვის 19. ვბრძანებ ყველა ამნისტიაბოძებულ დამნაშავეთ, სამხედრო სამსახურში ჩასარიცხავად სამხედრო უფროსებთან გამოცხადების 1917 წლის მარიამობისთვის 1-ლის ვადის გაგრძელებას. პოლიტიკური დამნაშავენი, რომელთაც სასჯელი საკატორგო სატუსაღოებში მიიღეს, სამხედრო სამსახურიდან სრულიადაც არ თავისუფლდებიან.

კერენსკი.

ს. დ. რუსეთის პროფესიონალ კავშირთა კონფერენცია.

პეტროგრადი. ივნისის 21. დაიწყო სრულიად რუსეთის პროფესიონალ კავშირთა კონფერენცია. კონფერენციას მიესალმა შრომის მინისტრი სკობელევი და წარმოსთქვა გრძელი სიტყვა თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობის, პროფე-

მოხსენება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დელეგატების შესახებ.

(წაკითხული ქუთაისის ერ. დ. პარტიულ კრებაზე).

მოქალაქენო!

4 ივნისი 1817 წ. ისტორიული დღეა. ამ დღეს პირველად შეიკრიბა თავისუფლად საქართველოს ეროვნული ინტერესების წარმომადგენელთა ყრილობა და მით ეროვნულ მიმართულებას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა.

ბუნებრივი კალაპოტიდან გადავარდნილმა მდინარემ ძველი კალაპოტი მონახა და გასაოცარი სისწრაფით დაექანა ზედ.

ყრილობას დელეგატი დაესწრო, მაგრამ ბევრ კუთხეს სხვადასხვა მიზეზისა გამო წარმომადგენლები არ გამოუგზავნია.

წარმტაცი სიტყვით მიესალმა კრებას მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე სპირიდონ კედია. და თავისი დანიშნულების სრული შეგნებითა და დიდის ენერგიითა და ხალისით ასრულებდა თავის მოვალეობას თვითეული წევრი.

მთავარი კომიტეტი უმთავრესად ახალგაზრდათაგან შესდგება, მაგრამ თვითეულის მოხსენებას მოწიფულობის, დარბაისლობისა და დიდი შრომისა და მეცადინეობას ნიშანი აჩნდა.

პირველად მოხსენება წაიკითხა გ. გვაზავამ. მან დაამტკიცა, რომ ავტონომია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით სახელმწიფოა და, მაშასადამე, ავტონომიურ საქართველოს, მსგავსად ფინეთისა, ავსტრალიისა, კანადისა და სხ., უნდა ჰქონდეს საკუთარი საფინანსო, სოციალური, სამოქალაქო, სამოსამართლო და სასკოლო კანონმდებლობა და საკუთარივე ადმინისტრაცია და მილიცია, ე. ი. ის, რაც განსაზღვრულია დამოუკიდებელ საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატით, რომლის ძალითაც საქართველოს უნდა ჰქონდეს საზიარო რუსეთთან მხოლოდ საგარეო პოლიტიკა, ომისა და ზავის საქმეები და ამ საქმეთა წარმოებისათვის საჭირო ბიუჯეტი.

კრებამ ერთხმად აღიარა საქართველოს ავტონომიის ამგვარი კომპენტენცია და დაუმატა, რომ, ვინაიდან ქართველ ერს ყოველთვის დიდი მონაწილეობა მიუღია საკაცობრიო კულტურისა და განათლების შექმნაში და დღესაც აუარებელი სხვერპლი შესწირა საერთოს, საქვეყნო საქმეს, საქართველოს ავტონომია საერთაშორისო კონგრესის დადგენილებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს.

გულსახმიერო მოხსენება წაიკითხა აგრეთვე ინგოროყვამ. მან სთქვა: ზოგიერთს ავტონომისტს სიტყვა ავტონომია ფეტიშად გაუხდია და, ოღონდა კი მის მოთხოვნას რუსეთმა და ჩვენმა ახლობელ მეზობლებმა ხელი მოაწერონ, მზად არის ნახევარი საქართველო დასთმოსო. მაგრამ საქართველოს მთელობის დარღვევას ავტონომიის მიუღებლობა სჯობია. ამიტომ, საქართველოს ავტონომიაში უნდა შედიოდენ: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი, ანუ დღევანდელი ადმინისტრატიული დანაწილებით: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის მხარე, სოხუმისა და ზაქათალის, არტაანისა და ოლთისის ოლქები და ჩამონაპრები, მიწერილნი არა ქართულ ადმინისტრატიულ ერთეულებზე: ჩრდილოეთი კუთხე აფხაზეთისა, მიწერილი, სოჭის ოლქზე (გაგრის უბანი), მტკვრის განაპირა ნაწილი კახეთისა, მიწერილი განჯაზე (ჯერან-ჩოლურისა და ქვემო ყარაიაზის ველები) და ქართლის სამხრეთი სანაპიროები, მიწერილნი ერევანსა და ყარსზე (ბამბაკი და აბოცი), ხოლო ოსმალეთის საქართველოში: კისკიმი, თორთუმი, ის პირი და ლაზისტანი.

მომხსენებლის აზრი ყრილობამ სავსებით გაიზიარა.

ყრილობამ აღიარა (გ. გვაზავას მოხსენების შემდეგ) აგრეთვე, რომ საქართველოს ავტონომიის ფარგალში ეროვნულ უმცირესობათა კულტურ-ეროვნული მოთხოვნილებანი ავტონომიის კონსტიტუციით უნდა იქნენ უზრუნველყოფილი.

კამათის დროს გამოირკვა, რომ საქართველოს დანაწილებისა და დაჭრისაგან წარმოშობილ ზიანს განახევრებული ტერიტორიის ავტონომიური უფლება ვერ აანაზღაურებს.

მართლაც, საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილი წარმოადგენს ერთს ეკონომიურსა და გეოგრაფიულ მთელსა და მის ნაწილებს შორის ეკონომიური ერთობის, მთლიანობის, გაწყვეტა—ეროვნული გადაგვარების წყაროდ შეიქმნებოდა.

და, უეჭველია, რომ სჯობს, სულ არ იქნებოდეს საქართველოს ავტონომია, ვიდრე იქნებოდეს იმ ვიწრო ფარგალში, რომელიც სოციალ დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა აღიარეს.

დიდი სიფრთხილითა და აუჩქარებლობით მოეპყრო ყრილობა მიწის საკითხს. ალექსანდრე ასათიანმა მეტად კეთილსინიდისიერი და გულსახმიერო მოხსენება წაიკითხა. ამ მოხსენებიდან დავინახეთ, რომ საქართველოში მიწის თავისუფალი ფონდი, რომელიც სამეურნეო გაუმჯობესებისათვის გამოდგება, იმდენი ყოფილა, რომ თანასწორად რომ განაწილდეს, თვითო სულს შეხვდება დესეტინის ერთი მესამედი ან თვითო ოჯახს ერთი დესეტინა და ორი მესამედი. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მიწა ყველა მიწისმუშას არ აკლია, უეჭველია, ერთი თაობისათვის მაინც მოგვეპოება საკმაო ფონდი.

ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ის, რასაც შევიძენთ ჭაობების დაშრობასა და ურწყავი მიწების მორწყვის შემდეგ. მაშინ კი ორი ან სამი თაობა შეგვიძლია კმავყოთ მიწით.

მაშასადამე, მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა.

რაც შეეხება მიწისმფლობელობის ფორმას, არა ყოფილა არცერთი დელეგატი, რომ კერძო საკუთრება უარეყო, მხოლოდ დიდ მემამულეთაგან მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ შემოიტანა განსაკუთრებული აზრი ზოგიერთმა დელეგატმა. დასასრულ, ერთხმად იყო მიღებული, რომ სახელმწიფომ უნდა ჩამოართვას დიდ მემამულეთ ზედმეტი მიწები სასყიდლით და უნდა გაუადვილოს მცირე მამულიან მიწისმუშებს მათი შესყიდვა გრძელვადიანი სესხის საშუალებით.

ამასთანავე ის სახაზინო და საეკლესიო მიწები, რომელნიც ხელში უჭირავსთ მიწის მუშებს, უნდა შერჩესთ მათვე კერძო საკუთრებად.

თავისუფალი სახაზინო და საეკლესიო მიწები კი საქართველოს ავტონომიის საკუთრებად დარჩება.

იმავე დროს ყრილობამ დაადგინა: დიდ მემამულეებს მიწები მანამდის არ ჩამოერთვას, ვიდრე საქართველოს ავტონომია არ განხორციელდება, ვინაიდან არ არის სასურველი, რომ ხსენებული მიწები რუსეთის ხაზინის ხელში გადავიდეს. ამიტომ ჩვენ უარვყოფთ დღესვე მიწების ჩამორთმევას.

ერთი რამეა კიდევ აღსანიშნავი. ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომ ყოველგვარი სამთამადნო სიმდიდრე და სამკურნალო წყლები საქართველოს ავტონომიას გადაეცეს, მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, მიეცემა თუ არა მესაკუთრეებს სასყიდელი მათი მიწების გულში დამარხული სიმდიდრის ნაცვლად.

ჩემი ფიქრით, თუ მადნები აღმოჩენილია და უკვე განსაზღვრულ ფასად ღირს, უსასყიდლოდ ჩამორთმევა შეუძლებელი იქნება კერძო საკუთრების პრინციპის დაურღვევლად.

მაგრამ ეს—წვრილმანია, დეტალია, რომლის გამორკვევაც საქართველოს ავტონომიის საქმეა. პრინციპიურად კი უნდა აღვიაროთ, რომ ავტონომიას უფლება ექნება ჩამოართვას მესაკუთრეებს მადნები, ყოველ შემთხვევაში შესაფერი სასყიდლის ზღვევით მაინც.

მეორე მხრით, დიდი საფრთხე მოელის საქართველოს, თუ ავტონომია ვერ გა-

სიონალ ორგანიზაციათა მიზნის დარღვევის წინააღმდეგობის შესახებ.

ჯამაგირების მიმატება ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ.

პეტროგრადი. ივნისის 21. დროებით მთავრობამ დაამტკიცა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პროექტი, რომლითაც ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ თვის ხაზინამ 90 მილიონი მანეთი გადასდო. თვითეულ მსახურს დამატებით თვეში 60 მან. მიეცემა აპრილიდან.

სამართლის სამინისტროში განსაკუთრებული კომისიის დაარსება.

პეტროგრადი. ივნისის 24, დროებითმა მთავრობამ დაადგინა სამართლის სამინისტროში დაარსებულ იქნას განსაკუთრებული კომისია ყოფილ საპოლიციო დეპარტამენტის საქმიანობის გამოსაკვლევად.

მანეთიანის დაცემა ფინეთში.

პეტროგრადი. ივნისის 21. სამხედრო სამრეწველო ცენტრალ კომიტეტმა გადასწყვიტა. ამიერიდან არაფერი არ შეუკვეთოს ფინეთის ფირმებს, რადგანაც იქ მანეთის ღირებულება ძალიან დაეცა.

ორდენების გაუქმება.

პეტროგრადი. ივნისის 20. მთავრობამ დაადგინა: ამიერიდან დაუქმებულ იქნას ყველა ორდენები, სამარ ჯილდოს გარდა.

ებრაელთა წინააღმდეგ

პეტროგრადი. ივნისის 22. ,,იზვესტია სოვეტა დეპუტატოვ''-ი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში პედროგრადის ქუჩებში ებრაელთა დასარბევად ცხარე მოწოდებები ისმოდა. ზოგან მოვაჭრე ებრაელებმა დუქნები დაჰკეტეს. მათ სრული იმედი აქვთ, რომ დროებითი მთავრობა ასეთ აგიტაციების მოსასპობად შესაფერ ზომებს მიიღებს.

სესხის გამო.

ჰელსინგფორსი. ივნისის 24. საგანგებო კომისიამ განიხილა კითხვა 350 მილიონ მარკის სესხის შესახებ. უმრავლესობა სესხის გაცემის კითხვას უარყოფით მოეკიდა ამ კითხვის განხილვა კიდევ გაგრძელდება.

ქალთა ბატალიონის გამგზავრება ბრძოლის ველზე

პეტროგრადი. ივნისის 23. დღეს გაემგზავრა ბრძოლის ველზე ქალთა თავისუფალი ბატალიონი ხალხმა დიდის ამბით გააცილა სადგურამდის.

მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევა პარისში.

პეტროგრადი. ივნისის-23. ივლისიშუა რიცხვებში პარიზში იწვევენ მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენციას ბალკანეთის კითხვების გამოსარკვევად.

დროებითი მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. ივნისის 23. დროებითმა მთავრობამ დაადგინა იყოლიოს სარეზერვო სათადარიგო ჯარი, რომლის შემადგენლობაშიაც შევლენ 43 წლამდის მიღწეული მამაკაცები

რუსეთი

პ. დ. ს.

დეპეშები

დაჭრილ ჯარის კაცთა ჩამოსვლა.

ხარკოვი ივნისის 24. ჩამოვიდა ეშელონი დაჭრილ ჯარის კაცებისა. ეშელონს მიეგებენ ადგილობრივი გარნიზონი და მცხოვრები დიდის დღესასწაულით.

მანეთიანის დაცემა

ჰელსინგფორსი ივნისის 24. მანეთიანის ფასი დაეცა ას მანათზე 35 მარკამდის.

გაზეთ „რუსკი ინვალიდის“ სახელის შეცვლა

პეტროგრადი. ივნისის 23. სამხედრო მინისტრის ბრძანებით გაზეთ რუსკი ინვალიდს“ ამიერიდან დაერქმევა „თავისუფალი ჯარისკაცი.“

ჰენდერსონის გამგზავრება

მოსკოვი ივნისის 13. დაგვიანებული. ჰენდერსონი მოსკოვიდან წავიდა.

უცხოეთი

პ. დ. ს.

დეპეშები.

რეიხსტაგის სხდომა.

სტოკჰოლმი. ივნისის 23. ბერლინიდან იტყობინებიან, რეიხსტაგის სხდომა გაიხსნა პრეზიდენტის სიტყვით, რომელშიც განაცხადა, რომ მტერი არ დასთანხმდა გერმანეთის მიერ წამოყენებულ ზავის პირობებს. მოწინააღმდეგების სურვილია გერმანეთის დანგრევა და განადგურებაო. გერმანელი ერი ამიტომ ვალდებულია სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს. ამ მიზნით მთელი გერმანეთის ხალხი უნდა გაერთიანდეს და სასტიკი შეტევები მოახდინოს მტრის წინააღმდეგიო

მონარქისტებისა და რესპუბლიკელების შეტაკება-

პეკინი. ივნისის 23. საცგურ ლენფანფანთან მოხდა შეტაკება მონარქისტებისა და რესპუბლიკელთა ჯარებისა.

რუსის ჯარის შეტევების დაწყების გამო

ლონდონი. ივნისის 19. ცნობამ რუსის ჯარის მიერ შეტევების დაწყების შესახებ ინგლისელებში დიდი აღტაცება გამოიწვია.

ესპანეთის კრიზისი.

პარიზი. ივნისის 21 „მატინის“ სპეციალი კორესპონდენტი იტყობინება მადრიდიდან, რომ თიბათვის 21 იდან ესპანეთში საფრანგეთიდან არავითარი ცნობა არ მოდის. ნებადართულია მხოლოდ ქორწილის, სიკვდილის და სხ, ამბების გზავნა. ლაპარაკობენ მეფის პასუხისმგებლობაზე. 1868 წლიდან დინასტია არ ყოფილა ასეთს საფრთხეში, როგორც დღეს. ესპანეთის კრიზისს მრავალი მიზეზი აქვს. მაგრამ ბევრს მათგანს ომთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

ვთხოვთ თანამოაზრეე

საშუალო სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზდობას

(ვაჟებს) შამოიარონ რედაქციაში დილის 9—2 საათამდის, ფრიად საჭირო საქმისთვის.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმი ივნისის 21. პეტროგრადის მუშ. და ჯარ. დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები ესაუბრენ ციმმერვალდელების და სოც.-დემ. დელეგაციის წარმომადგენლებს, აგრეთვე გერმანელთა სოციალისტების უმცირესობას.

მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. ივნისის 22 ოფიციალი მდინარე ენის ჩრდილოეთით ხდებოდა სარტილერიო ბრძოლები. რეიმსს ძლიერად უშენდენ, ჩამოყარეს 400 ყუმბარა. ფრონტის დანარჩენს ადგილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ახლო აღმოსავლეთში მტერმა დაშენის შემდეგ იერიშები მოიტანა ძლიერი დამზვერავი რაზმების მეოხებით. იერიშები მოვიგერიეთ. ასპარეზის დანარჩენს ადგილებში საშუალო საარტილერიო ბრძოლაა.

ლონდონი. ივნისის 21. ოფიციალი. მტრის აეროპლანები თავს დაგვესხა. ჩვენმა ბატარეებმა სროლა აუტეხე, ზარალი არაფერი ყოფილა.

პარიზი. ივნისის 22. ოფიციალი. დრო გამოშვებით საარტილერიო სროლა მწვავე ხასიათს იღებდა. მდ. მიტოსა და ენს შუა მდებარე ადგილებში მტერი შეეცადა მოულოდნელი თავდასხმები მოეხდინა ჩვენზე. მტერი უკუ ვაქციეთ. შამპანში საარტილერიო მოქმედება ორივე მხრიდან დიდათ ძლიერდება. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე ჩვენი ბატარეები ძლიერად უშენდენ მტრის სიმაგრეებს.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ივნისის 24. ოფიციალი. ჰინსკში ჩვენმა საზღვაო ფლოტილიამ გაანადგურა მტრის სიმაგრეები.

ზოლოჩევის მიმართულებით, საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენმა ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა მტრის ძლიერად გამაგრებულ სიმაგრეებზე დაიკავა სამივე ხაზი თხრილებისა. კონიუხის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მოახდინა შეტევა. მთელი დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა.

ხდებოდა ხელ ჩართული ბრძოლები მტერმა რეზერვის დახმარებით განაახლა კონტრ-იერიშების მიტანა. წამოვიყვანეთ 17 ტყვე ოფიცერი 27 ჯარისკაცი.

ახალი ამბავი

ვთხოვთ ჩვენს თანამოაზრეებს ჩვენი გაზეთის გავრცელებას ენერგიულად ხელი შეუწყონ.

◆ **კავკასიის სამხედრო შტაბის გაუქმება.** სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ გააუქმა კავკასიის სამხედრო შტაბი. დღეიდან კავკასიის მთავარსარდლობა დაექვემდებარება სრულიად რუსეთის ლაშქრის მთავარსარდალს.

◆ **დამფუძნებელი კრება.** განაპირა ქვეყნების კომისიამ ამიერ კავკასია დამფუძნებელ კრებისთვის ცალკე საარჩევნო ოლქად გამოყო. დაღესტანი შეუერთდება თერგის ოლქს, შავი ზღვის გუბერნია ყუბანის ოლქს. ამასვე შეუერთდება სტავროპოლის გუბერნიე. არჩევნებისთვის მიღებულია პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი.

◆ **ამიერ კავკასიის 35 დეპუტატი.** კოკოშკინის კომისიამ, რომელიც დამფუძნებელ კრების არჩევნების მოსაწყობათ მუშაობს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს შეატყობინა, რომ ამიერ კავკასიის დამფუძნებელ კრებაში 35 დეპუტატი ეყოლება.

◆ **ბეჭვდითი დღე.** ქუთაისის ბეჭვდითი საქმის მუშათა პროფესიულ კავშირის ,,ბეჭვდითი დღე'' გაიმართება ორშაბათს, 3 ივლისს.

◆ **მატარებლების დაჯახება.** (პ. დ. ს.) 23 ივნისს კავთის ხევის „რაზიეზდზე“ (ამიერ კავკასიის რკინის გზა) სასანიტარო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. დაჯახების დროს სასიკვდილოდ დაშავდა სამი კაცი, მძიმეთ დაიჭრა 13 და მსუბუქად 22.

◆ **დანიშვნა.** ქუთაისის კომენდანტის ადიუტანტის თანაშემწეთ დაინიშნა პოდპორუჩიკი დიდებულიძე.

◆ **ავადმყოფობანი.** 16 ივნ. 24 ივნისამდე ავათ გახდა: ტიფით 6—მოკვდა 2, ქუნთრუშით 3 გარდაიცვალა—1, ყელ-ჭირვებით 7—მოკვდა 2, ყვავილით 2 მოკვდა 1, გადამდები ტიფით 3.

◆ **ჩხუბი საღამოზე.** კვირას ძველი ლაგერის ქუჩაზე რუსაძის ეზოში გაიმართა საღამო. საღამოს გამმართველებმა სრული უკულტურობა გამოიჩინეს, საღამოზე საშინელი ლანძღვა-გინება და ჩხუბი გაიმართა. ზოგი ბილეთის ფულს უკან მოითხოვდა.

◆ **კრება.** ოთხშაბათს. 28 ივნისს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრთა კრება.

◆ **ქალაქის არჩევნების გარშემო.** საარჩევნო კომისია ,,რემინგტონის'' მანქანის საშუალებით აბეჭდინებს. ამ ჟამად ქალაქის თვითმმართველობაში 32 მანქანა მუშაობს რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებებიდან ითხოვა ალმ. კომიტეტის საარჩევნო კომისიამ.

◆ **„ქრისტინე“ს ეკრანზე გადაღება.** ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოები „ქრისტინე“ ბ-ნმა გ. გოგიტიძემ (ქ. ოზურგეთში) ეკრანზე გადაიღო რაც მას 12,000 მან. დაუჯდა. ქართულ ნაწარმოების სინემატოგრაფის საშუალებით ჩვენება პირველი მოვლენაა.

◆ **გვთხოვენ გამოვაცხადოთ.** არტემ ბესარიონის ძე ენუქიძეს 25 ივნისს დაეკარგა თეთრი ბილეთი, ქუთაისის სამხედრო უფროსისაგან მიცემული. მნახველისთვის ამ ბილეთს არავითარი ღირებულება არა აქვს და ვინც ნახავს, უმორჩილესად სთხოვს პატრონი უკან დაუბრუნოს ბილეთი შემდეგის მისამართით: თბილისის ქუჩა, რესტორანი ,,ფაზისი'', სპირ. ენუქიძისა, ქალაქის აფთიაქის პირდაპირ მნახველი ჯილდოს მიიღებს.

◆ **მანეთის კურსი სპარსეთში.** როგორც დანამდვილებით იტყობინებიან, რუსეთის მანეთის კურსი სპარსეთში აბაზამდის დაწეულა და ყოველგვარ პირველ საჭიროების საგნებზე საშინლად აწეულა ფასები. გირვანქა შაქარი სპარსეთში შვიდი მანეთი ღირებულა.

◆ **ჯარის კაცთა მატარებლების გაუქმება** ვინაიდგან სამხედრო პირების ჯარიდან გაშვება შესწყვიტეს, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა თხოვნით მიმართა საექსპლოატაციო განყოფილების უფროსს, რათა მან გააუქმოს სპეციალური სასალდათო მატარებლები, რითაც ხელი შეეწყობა რკინის გზით პირველ საჭიროების ვაგონების გაზიდვა-შემოზიდვას.

— **43-წლიანი ჯარის კაცების დათხოვნის გამო.** უმაღლეს მთავარსარდალთან მყოფი მორიგი ღენერალი ცირკულიარით იტყობინება მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომლის ძალითაც ჯარიდან დათხოვნილ 43-წლიან სალდათების ოჯახებს სანოვაგის კერძი აღარ მიეცემა.

◆ **მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ** თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა გაუქმდეს ჯარისკაცების ოფიცრებთან მოსამსახურეებათ (დენჩიკებათ) დანიშვნა. ის ჯარისკაცები, რომლებიც ოფიცრებთან ხელზე მოსამსახურეებათ არიან, დაუყონებლივ ჯარის ნაწილებში უნდა გაიგზავნონ.

პროვინცია.

დ. ბაღდათი. კვირას 2 ივლისს, აქ გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა, რომლის შემოსავლის ერთი ნახევარი გადაიდება სახალხო სახლის ასაშენებლათ, მეორე ნახევარი კი ახლად დაარსებულ ქალთა წრის სასარგებლოთ,

გორი. დაარსდა დროებითი სამხედრო სასამართლო, რომელიც გამოიძიებს დეზერტირების საქმეს.

ნახორციელა. რუსის გლეხში სოციალისტური მიდრეკილებაა. და, თუმცა, ჩემი ფიქრით, მიწის სოციალიზაციის, ე. ი. გაზიარების, იდეა ბოლოსდაბოლოს დამარცხდება, მაგრამ სოციალიზაციის თუნდა დროებითი გამარჯვება დიდ უბედურებას მოუვლენს რუსეთს: ასე გასინჯეთ, ჩინეთზედაც კი უფრო ჩამორჩენილად და კარჩაკეტილად შექმნის შრომის თავისუფლების შებორკვის გამო. და სავალალო ის არის, რომ ამ სოციალისტურ ჭევლში საქართველოც ჩათრეულია, ვინაიდან ჩვენი ინტელიგენციისა და საქარხნო მუშების აზროვნობა რუსეთის ზეგავლენით—სოციალისტურია.

გულსხმიერო იყო აგრეთვე ვეშაპელის მოხსენება კავკასიის ერების ურთიერთშორისობის შესახებ. კამათიდან გამოირკვა, რომ, როგორც ჩვენი ჩრდილო მეზობლები (ყაბარდოელები, ოსები, ჩაჩნები, ქისტები, კუმიკები, ლეკები და და სხ.), აგრეთვე ბაქოსი და განჯის გუბერნიების თურქები შავი ზღვისაკენ ესწრაფვიან: ამას მოითხოვს ეკონომიური აუცილებლობა. აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველოს ავტონომიის უზრუნველ საყოფელად საჭიროა მათთან შემარიგებელის, შემაერთებელი ნიადაგის მონახვა.

იმავე დროს რუსეთისათვის საქართველო წარმოადგენს ფუძეს, რომელიც აკავშირებს მას მცირე აზიასთანა და ზღვასთან. მაშასადამე, ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ ფაქტსაცა და რეალური პოლიტიკა—ძალთა განწყობილების მიხედვით უნდა ვაწარმოოთ.

ორიოდე სიტყვა შალვა ამირეჯიბის მოხსენების შესახებაც. მან აღნიშნა სოციალდემოკრატების ღვაწლი. ამ პარტიამ ქართველი ხალხი დარაზმა და საერთაშორისო ურთიერთობაში ქართველ ერს წონა მოუმატაო. ერთი მხრით ეს მართალია. მაგრამ, მეორე მხრით, იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ გადამეტებულმა კლასთაშორისმა ბრძოლამ, რომელსაც სოციალ-დემოკრატია აწარმოებდა, ჩვენის ეროვნული ორგანიზმის მთლობა დაანგრია და ავტონომიის განხორციელებას ხელი შეუშალა.

მეორე დებულება კი, რომელსაც შალვა ამირეჯიბი იცავდა,—ვითომ ჩვენი პარტია ბურჟუაზიული იყოს, - არავინ არ გაიზიარა. მართლაც, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ჩვენ ბურჟუაზიული კი არა, ეროვნულ-ხალხოსნური, ან ეროვნულ-დემოკრატიული, პარტია ვართ და უმთავრესად ერის უმეტესობის, ხალხის, ინტერესებს ვიცავთ. და, თუ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისთვისაც ვზრუნავთ, მიტომ, რომ უმისოდ ერის ეკონომიური წარმატება – შეუძლებელია.

დასასრულ, გორგაძის შინაარსიანისა და დასაბუთებული მოხსენების შემდეგ ყრილობამ დაადგინა, რომ ქართველ ერს უნდა დაუბრუნდეს თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობა, ანუ ავტოკეფალია, რომელიც რუსეთმა 1811 წაართვა, თავის ძველს უფლებრივ ფარგლებში.

სხვა მოხსენებათა წაკითხვის დროს კომისიებში ვმუშაობდი და. ამიტომ, მათ შესახებ სხვა დელეგატები მოგახსენებენ.

ვასილ წერეთელი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა კრება ქუთაისში.

კვირას, ივნისის 25, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის შენობაში მოხდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა კრება.

კრება გაიხსნა დილის 11 ნახევარ საათზე. თავმჯდომარეობდა ბ-ნი იოსებ ოცხელი, ბ-მა თავმჯდომარემ მიესალმა კრებას და პირველი სიტყვა მისცა ვასილ წერეთელს რომელმაც წაიკითხა მოხსენება შესახებ თბილისში მომხდარ ეროვნ. დემოკრ. პარტიის დამფუძნებელ ყრილობისა. მომხსენებელმა გააცნო კრებას როგორც კონფერენციის დადგენილებანი, ან პროგრამაში შეტანილი შესწორებანი, ისე ხასიათი და მიმდინარეობა ყრილობისა. მოხსენება საგულისხმო იყო და კრებაც გულდასმით უსმენდა მომხსენებელს, რისთვისაც კრებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი. შემდეგ ილაპარაკა ბ-მა ტ. მარგველაშვილმა. მან შეეხო საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას და ციფრებითა და მრავალი ფაქტებით დაამტკიცა, რომ საქართველო ეკონომიურის მხრივ დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვის. მთავარი იდეა, რომლისკენაც ჩვენი ქართველი ვითარება მიისწრაფვის, არის ეკონომიურადა და კულტურულად აყვავება, მონობის უღელის გაწყვეტა და თვისი ძალღონით არსებობა. ამ აზრის განსამარტავად მოყვანილი იქნა მთელი რიგი დამატკიცებელი ციფრებისა, რომელიც ამოღებული იყო ოფიციალ სტატისტიკურ უწყებებიდან და წყაროებიდან. ამის შემდეგ მომხსენებელი შეეხო მომავალ ავტონომიურ საქართველოს მართვა-გამგეობის ფინანსიურ მხარეს. მოიყვანა საყურადღებო ციფრები, რომელიც გამოხატავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხარჯ აღრიცხვას და რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ფინანსიურად ჩვენი ქვეყანის მომავალ ავტონომიურ მართვა გამგეობას. მომხსენებელი მხურვალე ტაშის ცემით იქნა დაჯილდოებული.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ბ-მა ტრიფონ ჯაფარიძემ, რომლითაც აღნიშნა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საქმიანობა, და მოუწოდა პარტიის წევრთ, რათა ისინი მტკიცედ შეკავშირდნენ და გამოიჩინონ, რაც შეიძლება მეტი ენერგია მუშაობისა. ორატორმა დაამტკიცა გარკვეულად და ხელმიღწევნით, რა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეს არის ნამდვილი ეროვნული პარტია, და ამ პარტიას შეუძლია აღადგინოს დაცემული და ფეხქვეშ გათელილი სამშობლო-საქართველო. ამასთანავე აღნიშნა ისიც, რომ ეს პარტია არის წმინდა დემოკრატიული, და სცდილობს გააუმჯობესოს მშრომელი გლეხების მდგომარეობაო. ორატორმა განაცხადა, რომ ეროვნული დემოკრატიული პარტია, რომელიც სამართლიანობისაა და რეალურს პრინციპებს ემყარება, სრულიადაც არ აიძულებს ვინმეს, რომ ძალ დატანებით მიიღოს პარტიის მოძღვრება, არამედ სცდილობს, რაც შეიძლება მეტი შეგნება შეიტანოს ხალხში და მოიმხროს ქართველი ერის შეგნებული ნაწილი და მისი ბურჯი გლეხობა, რომელსაც მხოლოდ ეროვნულ დემოკრატებთანა აქვს ნიადაგი. ორატორმა პარტიათა შორის დამოკიდებულებათა შესახებ ის აზრი გაატარა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სიამოვნებით მიეგებება ჩვენში მომქმედ პარტიათა საქმიანობას, თუ იგინი რეალურს მდგომარეობას და ქართველი ხალხის ნამდვილს მოთხოვნილებას ანგარიშს გაუწევენო. ორატორის მოხსენებას საზოგადოება მხურვალე ტაშით და აღტაცებულის ,,ვაშა''თი მიეგება.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელმა ი. ეგაძემ ილაპარაკა ჩვენი სოფლების უმწეო მდგომარეობაზე, და მოუწოდა პარტიის წევრთ ყურადღება მიაქციონ სოფლებს, და განამტკიცონ სოფლებში ეროვნული იდეა. დაეხმარონ ხალხს პრაქტიკულად და გააუმჯობესონ მათი ცხოვრების პირობები. ჩვენი ვალიაო, სთქვა ორატორმა, რაც შეიძლება მეტი ენერგია გამოვიჩინოთ ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. ორატორმა აღნიშნა, რომ ქართული სოფლები ვერ არიან სათანადო ეროვნულ-პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკურ შეგნებით გამსჭვალული და რომ ამას დიდი და შეუპოვარი შრომა უნდა მოვანდომოთ.

მიუხედავათ ამისა, კერძო საკუთრების პრინციპი იმდენათ ძლიერია ჩვენი გლეხობის სულსა და გულში, რომ თუ არ კერძო საკუთრებას, სხვა გვარ პრინციპს იგინი ვერ შეურიგდებიანო. თუ ენერგიულ მუშაობას განვაგრძობთ, მთელი საქართველოს გლეხობა ჩვენს გარშემო შემოჯგუფდებიანო. ამის მეოხებით ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ საქართველოს თავისუფლებაო. ორატორი გულწრფელი სიტყვისათვის ძლიერი ტაშით დააჯილდოვეს.

შემდეგი სიტყვა მღვ. რაჟ. ხუნდაძემ წარმოსთქვა, რომელმაც დაუხატა კრებას წარსული ტანჯვა საქართველოისა და კერძოდ მისი ეკლესიისა. შემდეგ ლომთაძემ და გამყრელიძემ აღნიშნეს პირველმა ქიათურის კომიტეტის მუშაობა და საქმიანობა, ხოლო მეორემ სენაკის კომიტეტებისა.

ორთავემ საქმის სასურველი მიმდინარეობა და მუშაობის მეტის მეტი ნაყოფიერება აღნიშნეს.

ბ-მა ვ. წერეთელმა გააცნო დამსწრეთ, რომ საქართველოს ყველა დაბა ქალაქებში დაარსებული არის პარტიული ბიუროები, როგორც მაგალითად: ფოთში, სამტრედიაში, ბათომში, სენაკში, ზუგდიდში, ზესტაფონში, ხარაგოულში, ქიათურაში, საჩხერეში, ძირულაში, თერჯოლაში და მრავალგან. როგორც მომხსენებელმა სთქვა, თერჯოლის რაიონში გლეხობის დიდი უმეტესობა ჩვენს პარტიაში ჩაეწერა და ენერგიულად მუშაობენ პარტიის სასარგებლოდ.

ილაპარაკა შემდეგ ჩვენმა ბელეტრისტმა თეოფილე ხუსკივაძემ, რომელმაც პარტიის წევრებს მოუწოდა აფხაზეთის სახელით, რათა ყურადღება მიექცეს აფხაზებს, რომელნიც მოითხოვენ ჩვენი პარტიისაგან რათა გააცნონ აფხაზებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა, რომელსაც იგინი სავსებით იზიარებენ და ხელი გაუწოდონ მათ, რათა იგინი მზად არიან ქართველებთან ერთად იმოქმედონ საერთო სამშობლო საქართველოს აღსადგენადო. ორატორმა დაასკვნა რომ აფხაზები მხოლოდ და მხოლოთ ეროვნულ დემოკრატიულს პარტიას გაჰყვებიან ვინაიდგან მათში ძლიერად აქვს მოდგმული ფეხი კერძო მესაკუთრეობის პრინციპსო. კრება აღტაცებით მიეგება აფხაზთა სულის კვეთებას და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ორატორი კრება შეწყდა 10 წამით.

კრების განახლებისას ილაპარაკა ზესტაფონის ეროვნულ დემოკრატიული პარტიის კომიტეტის წარმომადგენელმა აგრონომმა რ. გედევანიშვილმა. მან აღნიშნა ზესტაფონში ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ამ მოკლე დროში ფრიადი გაზრდა. ორატორის სიტყვით, ამ ჟამად ზესტაფონში ჩვენი პარტია დიდს როლს თამაშობს და ხალხის სიმპატიებითაც არის აღჭურვილიო.

იდარიონ ქდენტმა ილაპარაკა უკრაინელებისა და ქართველების დამოკიდებულების შესახებ. დამსწრეთ გააცნო ქართველთა და უკრაინელთა შეერთებული კომიტეტის მოწოდება, ორივ დაჩაგრულ ერთა აღსადგენათ რომ მოუწოდებდა წაიკითხა უკრაინულს ენაზე მისდამი მოწერილი წერილი უკრაინის კომიტეტისაგან, რამაც დიდი აღტაცება და მხურვალე ტაშის ცემა გამოიწვია დამსწრე წევრთა შორის.

კრებამ ბ-ნ ქდენტს დიდი მადლობა გამოუცხადა ენერგიული მუშაობისათვის.

კრებამ დაადგინა მისალოცი დეპეში გაეგზავნოს უკრაინის ცენტრალ რადას. კრებაზე სხვადასხვა კითხვების განხილვა ველარ მოესწრო და ამიტომ კრება გადაიდვა მომავალი კვირისთვის რომელზედაც განხილულ იქნება ფრიად საყურადღებო და საჭირო კითხვები.

სხვათა შორის კომიტეტის არჩევნები. პრეზიდიუმი მოუწოდებს დანარჩენ წევრებს უსათუოდ გამოცხადდენ შემდეგ კრებაზე.

ლ—ო.

სოც.-დემოკრ. საოლქო ყრილობაზე მიღებული დადგენილებანი.

(დასასრული იხ. ჩვ. ქვ. № 63)

აგრარული საკითხი.

რევოლუციონური მოძრაობის გასაღრმავებლათ და ძველ ბატონყმურ ნაშთების მოსასპობათ რუსეთის ამიერ კავკასიის საოლქო ყრილობა ს. დემოკრატიულ მუშათა პარტიისა საჭიროთ სცნობს, რომ ყველა ადგილ- მამული სამინისტრო, საკაბინეთო, საუფლისწულო და სახაზინო გადაეცეს ოთხ ფორმულიან საარჩევნო სისტემით არჩეულ მსხვილ ადგილობრივ თვითმართველობებს.

ეს ორგანოები აერთებენ ქალაქის და სოფლის ოლქებს და ეკონომიურის მხრით წარმოადგენენ მთლიან ერთეულს.

ჩამოსართმევ ადგილ მამულის მინიმალურ ზომას საზღვრავს ადგილობრივი თვითმართველობა.

ის ადგილ მამული, ტყეები და მდინარები, რომლებსაც საზოგადო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, დემოკრატიულ სახელმწიფოს კუთვნილებათ დარჩება, ხოლო მოსახმარათ გადაეცემა ადგილობრივ მსხვილ ორგანოებს.

რომ გლეხთა მოძრაობა შეთანხმებული იყოს და იქ არევ-დარევას ადგილი არ ჰქონდეს, ყრილობა გადაჭრით უარყოფს მიწების ძალით მითვისებას დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, რომელიც შეიმუშავებს მიწის კონფისკაციის ძირითად დებულებებს. ამასთანავე ყრილობა აუცილებელ საჭიროებათ სთვლის გაჩაღდეს სოფლად პარტიული პროპაგანდა და მოეწყოს როგორც პარტიული, ისე არა პარტიული დემოკრატიული ორგანიზაციები.

რაც შეეხება იმ სხვადასხვა კითხვებს, რომლების გადაჭრა საჭიროა დამფუძნებელ კრებამდე, ყრილობა ამის შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

ა.

1) დაცვა და წესიერი ექსპლოატაცია იმ ტყებისა, რომლებიც რევოლუციის დროს უყურადღებოთ იყო მიტოვებული ან რომლებიც კერძო მფლობელთ ეკუთვნის, მიენდოს ადგილობრივ მიწის კომიტეტს.

2) მიმდინარე წელს ტყეების გაჩეხა შეშისათვის, თუ საშენებლო მასალისთვის უნდა მოხდეს საშუალოთ ისე, როგორც უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო სამხედრო მასალისათვის შესაძლოა ზედმეტიც გაიჩეხოს.

3) სახაზინო და საუფლისწულო ტყეებზე უნდა დაწესდეს სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტების კანტროლი, რომელთა მოქმედებას ხელმძღვანელობს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები.

4) სათავად აზნაურო საადგილმამულო და საგლეხო ბანკებში დაგირავებულ მამულებზე გადასახადების შეტანა შეჩერებულია დროებით მთავრობის საგანგებო დეკრეტით დამფუძნებელ კრებამდი, ხოლო უკეთუ საჯაროთ გაყიდვა დაინიშნა, მიწის ადგილობრივი კომიტეტები ვალდებული არიან საჩქარო შუამდგომლობა აღძრან მის შესაჩერებლათ.

ბ.

1) სახნავ მიწების შესახებ ყველა საკითხს სწყვეტს მომრიგებელი კამერა.

2) საუფლისწულო და სამონასტრო მიწებს ამუშავებს მიწის ადგილობრივი კომიტეტი და საიჯარო გადასახადი შეაქვს ბანკში დამფუძნებელ კრებამდე.

3) ხიზნების მიწები დროებით მთავრობის საგანგებო დეკრეტით უნდა გადაეცეს ხიზნებს სრულ საკუთრებათ და განთავისუფლდეს ყოველივე საჯარო გადასახადისაგან.

გ.

1) ის საძოვარი მინდვრები, რომლებიც საჭიროა წვრილ მესაკუთრეებისათვის შინაურ საქონლის საძოვრათ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს მათ მიწების კომიტეტების მიერ.

2) იმ საძოვარ ადგილების საკითხს, რომლებიც საჭიროა მეჯოგეებისთვის, სწყვეტს დაინტერესებული მხარეები კერძო შეთანხმებით.

დ.

სათიბ მინდვრების საკითხს სწყვეტენ მომრიგებელი კამერები.

მოწერილი ამბები.

ს. ცხუკუშერი (ლეჩხუმის მაზრა). ეს სოფელი ერთი საუკეთესო სოფელთაგანია ლეჩხუმის მაზრაში. კარგი მდებარეობა აქვს მას. ხილეულობა, ვენახები და კარგი წყაროები კიდევ მეტად ამშვენებენ ისედაც ლამაზს სოფელს. აქ სცხოვრობს ოთხმოციოდ მოსახლე. სიმინდი და პური ორ სამ მოსახლეს თუ შემოაკლდება აქ; იმის შოვნაც მეზობლებში შეუძლიათ. ღვინო საკმაოდ მოსდის, თუმც სოფელი თვითონ მთიან ადგილზე არის გაშენებული, მაგრამ სავენახე ადგილები სხვა აქვთ ეგრეთ წოდებული „ლეგეშტოში“, რომელიც სოფელზე დაშორებულია სამი ვერსით. ამ სოფელს აწუხებს ერთად ერთი რამ, უგზოობა რაჭა-ლეჩხუმის შარა-გზას ეს სოფელი დაშორებულია ხუთი ვერსით. შარა გზასა და ამ სოფელს შუა არის ვიწრო გზა გაუყვანელი, სადაც კაცს სიმამაცე სჭირია, რომ უღელი ხარი გაატაროს. ეს გზა ამოივლის ლეგეშტოს და შემოდის სოფელში. როგორც ზემოთ ვთქვი, ლეგეშტოში მამულები აქვთ და ყოველ შემოდგომაზე ღვინო მიაქვთ სოფელში და მაშინ, ზოგი თავის ურმიანად ვარდება კლდეზედ და ზოგს კი ცალები უსკდება. წელს სამიოდე სხვა სოფლელიც გადავარდა. ეხლა, რადგანაც ახალგაზდობა სულ გაიბოჭა სოფლიდან და მოხუცებულებს ურმის ამოტანა კი არა, თვითონ არ შეუძლიათ ამოსვლა ასეთ ცუდ გზაზე. ეხლა გადასწყვიტეს ამ გზის გაკეთება. ამისათვის ამოირჩიეს რვა კაცი, რომელნიც გაურიგდენ ათას მანეთად გ. ხეცურიანს ნიკორის წვერის კლდის დასამდაბლებლათ. დანარჩენი გზის გაკეთება კი თვითონ სოფლელებმა იკისრეს თავის მუშაობით, სთხოვენ ახლო სოფლების მცხოვრებთ გაუწიონ დახმარება ამ გზის გაკეთებაზე, რადგან მათვისაც საჭიროა ეს გზა.

გ. მაღალეიშვილი.

რუსეთი.

ანარქია ჯარში.

„რუსკ. სლოვო“ სწერს: ბოლშევიკების აგიტაციამ დამღუპველი ნაყოფი უკვე გამოიღო. ბრძოლის ველზე ჯარის ნაწილები გადაუდგენ სარდლობას და გერმანელებს დელეგატების პირით უთვლიან: „არ შეგეშინდეთ, ჩვენ თქვენ აღარ გებრძვითო“. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ჯართან თავის წარმომადგენლები გაგზავნა, რომლებსაც ჯარისკაცებმა თავი გაუტეხეს. აღელვებულ ჯარისკაცებთან ვერც კერენსკიმ გააწყო რამე. მთელი დივიზია გამორბის თხრილებიდან და გზა და გზა უწესოებას ახდენს.

ფედერატიული რესპუბლიკა.

სახალხო სოციალისტების პარტიულმა ყრილობამ განიხილა კითხვა დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკისა. სახალხო სოციალისტები ზოგ მუხლებში შორდებიან „ტრუდოვიკებს“ სახალხო სოციალისტები მოითხოვენ, რომ დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკას ექმნეს ფართე დეცენტრალისტური თვითმართველობები. ყრილობის დიდმა უმრავლესობამ ის დებულება მიიღო, რომ ეროვნულ კითხვის უკეთესი მოწესრიგება მხოლოდ ფედერატიულ წესწყობილების დროს შეიძლებაო.

შეტევის შესახებ.

თითქმის ყველა მიმართულების გაზეთები აღფრთოვანებით შეეგებენ რუსის ჯარის შეტევაზე გადასვლას. „დენი“ სწერს: ჩვენი რევოლუციის ბედი საბედისწერო გზაზეა. შეტევაზე გადასვლას რევოლუციის დაღუპვაც შეუძლია და აშენებაც“.

პარტიების შეერთება.

სახალხო სოციალისტების და ტრუდოვიკების პარტია ერთმანეთს შეუერთდა და უკანასკნელ დროს მოხდა მათი შეერთებული თათბირი ჩაიკოვსკის თავმჯდომარეობით.

ბოლშევიკების გამოსვლა.

10 ივნისს პეტროგრადში ბოლშევიკებს დემონსტრაცია უნდა გაემართნათ, მაგრამ „ზომიერ ნაწილის“ ზეგავლენით გადასდვეს. დემონსტრაციის გადადებით მეტად უკმაყოფილო გამხდარა ბოლშევიკების დიდი ნაწილი და ისინი გამოეყვენ ამხანაგებს.

კანონ პროექტი სინდისის თავისუფლების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი სინიდისის თავისუფლების შესახებ. კანონპროექტი ასეთია: „რუსეთის ყოველ მოქალაქეს სრული უფლება ენიჭება იწამოს ის რჯული რომელიც მას სურს. მოქალაქეს სარწმუნოებრივი ან ეროვნული თვალთა ხედვით ვერვინ შეზღუდავს. ბავშვების ამა თუ იმ სარწმუნოებაზე გადაყვანა შეიძლება მხოლოდ 9 წლამდე. ამის შემდეგ კი თვითონ ბავშვებს უნდა ეკითხოთ თანხმობა.

სპარსელების ამოჟლეტა.

როგორც გაზ. „უტრო როს.“ იტყობინება ქ. ასტრახანში ჯარისკაცები მისევიან ადგილობრივ სპარსელებს და ამოუხოციათ. გაზეთის აზრით ჯარისკაცები აუღელვებია იმ მოვლენას, რომ სპარსელებმა სრულიად დასცეს რუსულ ქაღალდის მანეთის ფასი. სპარსელი ვაჭრები რუსულ ქაღალდის მანეთს ვერცხლის 15 კაპ. ღებულობდენ. სპარსელების დახოცვის გამო ასტრახანში მყოფმა სპარსეთის მთავარმა კონსულმა პროტესტი განაცხადა და თან დასძინა, თუ ასეთი საშიში მდგომარეობა გაგრძელდა ასტრახანში მოვაჭრე ყველა სპარსელები თავის წარმოებათა და საქმეთა ლიკვიდაციას მოახდენენ და სამშობლოში დაბრუნდებიანო.

ცვლილებები მთავრობაში.

„რან უტრო“ აღნიშნავს, რომ ამ მოკლე დროში დრ. მთავრობაში მოსალოდნელია ცვლილება. კოალიციური სამინისტრო ისევ დარჩება, მხოლოდ წავლენ მოსკოველები. ელიან თ დ ლვოვის წასვლასაც.

კრონშტადტელების ოინები.

განმანაწილებელ ციხეში მოთავსებული იყვენ „პოგრომების“ მომწყობი „ბოლშევიკები“. ციხესთან მიიჭრენ კრონშტადტელები და მოითხოვეს ციხეში შეშვება დარაჯებმა უარი განუცხადეს. მაშინ კრონშტადტელებმა ძალით შეამტვრიეს კარები და შევიდენ ციხეში.

კერენსკის განკარგულება.

ა. კერენსკიმ განკარგულება გასცა გაუქმებულ იქმნას ამჟამად არსებული სამხედრო საბჭო და შესდგეს ახალი პერსონალი, რომელშიც შევლენ დამსახურებული და გამოცდილი პირები.

რამდენიმე სურათი დღევანდელ არეულ ცხოვრებისა.

გაზეთ „ედინსტვო“ში ვასილიევს მოჰყავს მთელი რიგი ფაქტებისა თანამედროვე არეულ ცხოვრების დასახასიათებლად.

1. ტრამვაი. მანდილოსანი ზეზე დგება და გასავალისაკენ მიემართება. ზრდილობიანად სთხოვს ჯარისკაცს, გზა დამითმეო. ჯარისკაცი მობრუნდება სახეში შეჰყურებს და გაბოროტებით ეუბნება: „ხომ არ გინდა სახეში ჩაგაფაროო!“ მე ამ ფაქტის მოწმე ვიყავი.

2. ლექციიდან ვბრუნდებოდი. მე-72 ლინიის კუთხეში ქუჩის მიტინგია. ჯარისკაცი „ბოლშევიკებსა თუ ციმმერვალდელებს“ ეკამათებოდა, შეტევის საჭიროებას ამტკიცებდა. მე ჯარისკაცს ვემხრობი. ვიღაც ახალგაზდამ გაბრაზებით შემომძახა:

„უ, შე წყეულო ბურჟუა. ყველას ყელს გამოგჭრით“-ო.

3 ამხ. ვოიტინსკი მე-3 ქვეითა პოლკში. 9 ივნისის ღამეა. ჯარისკაცთა ერთი ნაწილი შეიარაღებულია. კითხვა: „რათ გინდათ, ამხანაგებო იარაღი?“ პასუხი: „მივდივართ ბურჟუაზიის ამოსაჟლეტადო!„

4. ქარხნებში ანარხისტები და „ბოლშევიკები მენშევიკებსა და სოც.-რევოლუციონერებს ემუქრებიან: „ყველას ყელს გამოგჭრით, თქვე „კადეტებო“, ყველას ნაკუწ-ნაკუწად გაქცევთო“.

5. მოსკოვის ყაზარმები ვიბორგის მხარეზე. აგიტაცია სარაიონო დუმაში არჩევნებისთვის. მენშევიკები სიტყვებს ამბობენ, „ბოლშევიკები მათ წინაალმდეგ ჯარისკაცებს უსიანებენ. ჯარისკაცები გაიძახიან: ძირს! ეს სულ ,,ურიები'' (ჟიდები) არიანო!

6. სარატოვის ექიმები აღნიშნავენ: საროსკიპო სახლების წინ ჯარისკაცებისაგან შემდგარი წრეები, რიგები დგანანო...

გაუმარჯოს მხეცობას!

გონს მოდით თქვენ „ბოლშევიკებო“ ქალებო. მოიშორეთ გიენის სახიერება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის „ჩვენი ქვეყანას“ უმახლობელეს ნომერში დაუთმოთ ადგილი შემდეგ მცირე წერილს:

ქ. ახალ-სენაკში, 4 ივნისს 1917 წ., საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობამ თავის ნივთიერ საშვალებათა გასაძლიერებლად ადგილობრივ ბაღში გამართა დიდი სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით და სხვადასხვა გასართობებით. სეირნობის შემოსავალი სულ ერთად იყო 2551 მ. 63 კ., სეირნობის მოწყობაში დაიხარჯა 658 მ. 20 კ., წმინდა შემოსავალი გამგეობას დარჩა — 1893 მ. 43 კ.

გამგეობა სთვლის თავის სასიამოვნო მოვალეობად, გამოუცხადოს უღრმესი მადლობა ყველა იმათ, ვინც კი ნივთიერი დახმარებით, თუ პირადი შრომით ხელს უწყობდა მას და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ სეირნობის გამართვაში და მასთან ერთად უსურვებს ყველა დამხმარეთ, დამსწრეთა და თანამგრძნობთ, რომ მათ შემდეგშიაც არ დაენანოთ ასეთი სიმპატიური მიზნისთვის თავისი წვლილი. შრომა და ენერგია.

გამგეობის თავმჯდომარე
ოლღა ხოფერიასა.
მდივანი მღ. **გ. ბამზარდია.**

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკველია.

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

რკინისგზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	8 ს.		წ.
„	— საღამ.	8 ს.	50	„
ბათომიდან	— დღისით —	12 ს.	40	„
„	— ღამის —	1 ს.		„
ფოთიდან	— დილის —	10 ს.	26	“
ტყიბულიდან	- საღამოს —	6 ს.	50	„
ხაშურიდან	— დილის —	9 ს.	24.	„
ბათუმიდან სააგარაკო	დღის	2 ს.	48	წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	- - დილის	11 ს.	—	„
„	- ღამის —	11 ს.	34	„
ბათომისაკენ	- - საღამოს	7 ს.	5	„
„	— დილის —	7 ს.		„
ფოთისაკენ	— დღისით —	4 ს.	8	წ.
ტყიბულისაკენ	— დილის —	8 ს.	40	„
ხაშურისაკენ	— დღით —	5 ს.	20	„
ბათუმისაკენ სააგარაკო	დღის	3 ს.	16	წ.

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის

განცხადება.

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა კაზმულ-სიტყვიერებითი ქრისტომატია „**ჩვენი ახალი მწერლობა**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ და გამოცემული მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა. წიგნში მოთავსებულია მე-19 საუკუნის ჩვენის საუკეთესო მგოსანთა და მწერალთა რჩეული ნაწარმოებნი (გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ვახტ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დან. ჭონქაძე, რაფ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ჭავჭავაძე, გ. გურიელი და ანტ. ფურცელაძე). წიგნი დიდი ფორმატისაა (600 გვერდი), დაბეჭდილია თეთრსა და მტკიცე ქაღალდზე და ღირს 3 მან. და 10 შაურად. იყიდება ქუთაისში გამომცემელთან, თფილისში წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.

აქვე იყიდება ამავე ამხანაგობის გამოცემა „**ია ეკალაძე. მოთხრობები**“, წიგნი 1, ფასი ათი შაური. 10—1.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში